ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოსთან არსებული მუდმივმოქმედი საზოგადოებრივი საბჭოს სხდომის

ოქმი № 5

ქ.თბილისი 29 ივლისი, 2016 წელი

I. <u>საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:</u>

1. ლერი ქვარაია - სხდომის თავმჯდომარე;
2. ნიკოლოზ არაგველი;
3. თამარ აბაშიძე;
4. ეთერ კვახაძე;
5. მიხეილ მოდებაძე;
6. აკაკი რუაძე;
7. თეიმურაზ წიქორიძე
8. ნანა ხომასურიძე.

II. საბჭოს სხდომის დღის წესრიგი:

1. საბჭოს წევრობის მსურველების ქვემოჩამოთვლილი კანდიდატურების განხილვა-კენჭისყრა:
   - პაატა კორძაძე (თანდართული განაცხადი);
   - ნინო ადეიშვილი (თანდართული განაცხადი);
   - თამთა შარაბიძე (თანდართული განაცხადი);
   - მარიამ მრევლიშვილი (თანდართული განაცხადი);
2. საბჭოს 15 ივლისის სხდომაზე ნანა ხომასურიძის ინიციატივით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის მიმართვის თანდართული პროექტის განხილვა (საბჭოს სახელით, ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფრის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის თხოვნით);
3. უახლოესი პერიოდისთვის საბჭოს საქმიანობის მთავარ პრიორიტეტებზე მსჯელობა-ჩამოყალიბება;
4. საბჭოს ატრიბუტიკის (ბლანკი და სხვა) შექმნის მიზანშეწონილობის საკითხის განხილვა;
5. მუნიციპალური თავშესაფრიდან ლეკვების გაჩუქების აქციის ხელშეწყობის აუცილებლობა (ინიციატორი - თ.წიქორიძე);
6. მუნიციპალურ თავშესაფარში კატების პრობლემები (ინიციატორი - ნ.ხომასურიძე);

7. მუნიციპალურ თავშესაფარში შემოსული სავარაუდოდ დაკარგული ცხოველების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების პრობლემები (ინიციატორი - ნ.ხომასურიძე).

II. საბჭოს სხდომის შედეგები:

1. საბჭომ იმსჯელა საბჭოს წევრობის მსურველების კანდიდატურებზე მათ მიერ წარმოდგენილი განაცხადების საფუძველზე და კენჭი უყარა (ფარული კენჭისყრით) საბჭოს შემადგენლობაში მათი მიღების საკითხს. კენჭისყრის შედეგების მიხედვით:
   - მარიამ მრევლიშვილმა მიიღო 8 ხმა;
   - პაატა კორძაძემ მიიღო 9 ხმა;
   - ნინო ადეიშვილმა მიიღო ცხრა ხმა;
   - თამთა შარაბიძემ მიიღო 5 ხმა (წინააღმდეგი 4).

   საბჭოს დებულების მე-6 და მე-7 პუნქტების, ასევე ჩატარებული კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, საბჭოს მოქმედ წევრთა შემადგენლობას დაემატა პაატა კორძაძე, ნინო ადეიშვილი, თამთა შარაბიძე და მარიამ მრევლიშვილი;
2. საბჭომ განიხილა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის მიმართვის თანდართული პროექტი (ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფრის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის საკითხი), რომელიც მომზადდა 15 ივლისის სხდომაზე ნანა ხომასურიძის ინიციატივის საფუძველზე. კენჭისყრის შედეგად, საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ პროექტს და სთხოვა საბჭოს თავმჯდომარეს მიმართვის ხელმოწერა და გაგზავნა ადრესატთან;
3. საბჭომ იმსჯელა უახლოესი პერიოდისთვის საბჭოს საქმიანობის მთავარ პრიორიტეტებზე. საბჭოს წევრების გადაწყვეტილებით, მიმდინარე ეტაპზე საბჭოს საქმიანობის ძირითად პრიორიტეტებს შორის დასახელდა:
   - მუნიციპალურ თავშესაფარში არსებული კატების განთავსების სივრცის გატანა თავშესაფრის ფარგლებს გარეთ, მიმდებარე ტერიტორიაზე და ამ სივრცის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა (ნ.ხომასურიძის ინიციატივით). აღნიშნული მიმართულებით შედეგების ახლო პერსპექტივაში მისაღებად, საბჭოს ერთერთმა წევრმა (მ.მრევლიშვილი) გამოთქვა მიზნობრივი გრანტის მოპოვების (ან სპონსორის მოძიების) ინიციატივა და აღუთქვა საბჭოს უახლოეს სხდომაზე შესაბამისი კონკრეტული წინადადებების მომზადება;
   - მუნიციპალურ თავშესაფარში „აგრესიულობის ეჭვით“ შეყვანილი ცხოველების ფსიქოლოგიური მდგომარეობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის და ამავე დიაგნოზით ევთანაზიის საფუძვლების ნორმატიული წესების შექმნა-ინიცირება და სააგენტოს შესაბამისი პერსონალისთვის სათანადო ტრეინინგების ორგანიზება-ჩატარება (თ.წიქორიძის ინიციატივით);
   - საზოგადოებასთან ურთიერთობების გააქტიურება სააგენტოს მხრიდან, ვინაიდან სააგენტოში მიმდინარე ბევრ პოზიტიურ წამოწყებაზე თუ საქმიანობის შედეგებზე საზოგადოებას ხშირად გააჩნია არასწორი

ინფორმაცია, ან საერთოდ მოკლებულია ინფორმაციასთან წვდომას (მ.მრევლიშვილის ინიციატივით). აღნიშნული მიმართულებით შედეგების მისაღებად ძალისხმევის კონცენტრაცია მიზანშეწონილად ჩაითვალა:

- ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების და სააგენტოს საქმიანობის გაშუქების პროცესში „ცნობადი სახეების“ აქტიურად ჩართულობა;
- სააგენტოს ახალი საიტის ტექნოლოგიური, ინფორმაციული და სარეკლამო მიმართულებით განვიტარება;
- საზოგადოების მონაწილეობით აქციების (მაგ. ცხოველების გაჩუქების) გააქტიურება;

– საკუთრებაში არსებული ძაღლების გამრავლების რეგულაციების შექმნა-ინიცირება (ნ.ხომასურიძის და მ.მრევლიშვილის ინიციატივით);

4. საბჭომ იმსჯელა და მოიწონა საბჭოს ატრიბუტიკის (ბლანკი და სხვა) შექმნის მიზანშეწონილობის საკითხი. საბჭოს წევრებს ეთხოვათ, საბჭოს უახლოეს სხდომაზე წარმოადგინონ კონკრეტული მოსაზრებები (სასურველია ესკიზები);
5. საბჭო დაეთანხმა თ.წიქორიძის ინიციატივას, მუნიციპალური თავშესაფრიდან ლეკვების გაჩუქების აქციის ხელშეწყობის აუცილებლობის შესახებ. საბჭოს წევრებს ეთხოვათ, ძალისხმევის კონცენტრაცია მოახდინონ:
   – მეტი მოხალისეების ჩართულობის უზრუნველყოფაზე აქციებში;
   – შესაძლებლობის ფარგლებში, მედიის, განსაკუთრებით ტელევიზიის მიერ აქციების გაშუქების მიზნით;
   – შესაძლებლობის ფარგლებში სააგენტომ გაზარდოს აქციების რაოდენობა და დაიყვანოს მინიმუმ ორამდე კვირაში (ამჟამინდელი ერთის ფონზე);
   – სააგენტომ უზრუნველყოს მზის დამცავი ახალი ქოლგის შეძენა;
6. ნ.ხომასურიძის ინიციატივით, საბჭომ დამატებით იმსჯელა (საკითხი განხილულ იქნა საბჭოს პრიორიტეტებზე მსჯელობის პროცესშიც) მუნიციპალურ თავშესაფარში კატების მოვლა-პატრონობის პრობლემებზე, მათ შორის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე - კატებისთვის სპეციალური ქვიშის მუდმივი შეცვლის და დრენაჟის უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ. საკითხის ინიციატორმა საბჭოს წარუდგინა ზოგადი და წინასწარი მოსაზრებები, აღნიშნული პრობლემის ახალი ტექნოლოგიებით მოგვარების შესახებ. ნ.ხომასურიძემ აღუთქვა საბჭოს, რომ უხლოეს სხდომაზე წარმოადგენს შესაბამის კონკრეტულ წინადადებებს;
7. ნ.ხომასურიძის ინიციატივით, საბჭომ იმსჯელა მუნიციპალურ თავშესაფარში შემოსული სავარაუდოდ დაკარგული ცხოველების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების პრობლემებზე. სხდომის თავმჯდომარე დაპირდა საბჭოს წევრებს, რომ პირად კონტროლზე აიყვანს სააგენტოს საიტზე შესაბამისი ინფორმაციის სრულად და დროულად გამოქვეყნების პროცესს.